შპს კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის 3-წლიანი ერთობლივი პროგრამა (ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტთან ერთად - NJCU, აშშ)	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
International Relations and Politics 3-Year Joint Program (with New Jersey City University – NJCU, USA)	
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
ბაკალავრიატი	
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
აკადემიური	
სწავლების ენა	
ინგლისური	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კოდი	0312
ქართულად:	1. კავკასიის უნივერსიტეტი - საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი 2. ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტი (აშშ) - ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი პოლიტიკის მეცნიერებაში.
ინგლისურად:	1. Caucasus University - Bachelor of International Relations 2. New Jersey City University (USA) - Bachelor of Arts in Political Science
საბაკალავრო პროგრამის დამტკიცების და განახლების თარიღი	
დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანება N01/01-84, თარიღი: 04.11.2025	
საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	ეკა აკობია, აფილირებული პროფესორი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	

საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის შედეგების მისაღწევად საჭიროა 200 ECTS (120 ამერიკული კრედიტი) კრედიტის დაგროვება. პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა არის 3 (სამი) აკადემიური წელი. პირველი ორი წელი ტარდება კავკასიის უნივერსიტეტში (150 ECTS; 75 ECTS წელიწადში), ხოლო ბოლო, მესამე წელი NJCU-ში (50 ECTS; 30 ამერიკული კრედიტი).

1 ECTS უდრის 25 სასწავლო საათს, რაც მოიცავს როგორც საკონტაქტო საათებს, ასევე დამოუკიდებელი მუშაობისთვის გამოყოფილ დროს (შუალედურ და საბოლოო გამოცდებს, ასევე საშინაო დავალებებს).

პროგრამა მოიცავს როგორც ვიწრო სპეციალიზაციის კურსებს, ასევე თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსებს:

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები (155 ECTS):

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები – 140 ECTS;
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები – 15 ECTS.

თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები (45 ECTS):

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 15 ECTS;
- ინგლისური ენა (სავალდებულო) – 10 ECTS;
- მეორე უცხო ენა (სავალდებულო) – 20 ECTS.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად ინგლისური ენის ჩაბარება.
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოსილი პირი ადასტურებს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე (IELTS-6.0; TOEFL-78; B2 დონის სხვა რელევანტური საერთაშორისო სერტიფიკატი) ან აბარებს უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებულ B2 დონის შესაბამის გამოცდას.
- პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობა

კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულება დადგენილ ვადაში.

საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება	
საბაკალავრო პროგრამის მიზანი	საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის მიზანია: I. სტუდენტებს მისცეს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის სფეროში კომპლექსური ცოდნა და მოამზადოს როგორც სამაგისტრო სწავლისთვის, ასევე პროფესიული საქმიანობისთვის საჯარო, კერძო და არაკომერციულ სექტორებში. II. აღჭურვოს სტუდენტები მმართველობის, დიპლომატიისა და გლობალური პოლიტიკის თეორიების, პრინციპებისა და პრაქტიკის ფუნდამენტური ცოდნით, რაც მათ საშუალებას მისცემს ახსნან და გააანალიზონ შიდა, რეგიონული და საერთაშორისო პოლიტიკური პროცესები და აქტორები. III. უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, სტუდენტებს განუვითაროს კვლევითი, ანალიტიკური და პროფესიული კომუნიკაციის უნარები რამდენიმე ენაზე, რაც მათ მისცემს შესაძლებლობას კრიტიკულად შეაფასონ კომპლექსური პოლიტიკის გამოწვევები და ეფექტიანად შეიტანონ საკუთარი წვლილი აკადემიურ, სამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციულ პროცესებში. IV. მოამზადოს კონკურენტული, პრაქტიკაზე ორიენტირებული სპეციალისტები, რომლებსაც გააჩნიათ ფართო შედარებითი ცოდნა და ტრანსფერული უნარები, იცავენ უნივერსალურ დემოკრატიულ ღირებულებებს და პასუხისმგებლობით უწყობენ ხელს კაცობრიობის განვითარებას დიპლომატიის, მმართველობისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში.
სწავლის შედეგები	**ცოდნა და გაცნობიერება** 1. განმარტავს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის ძირითად ცნებებს, თეორიებსა და საკითხებს ქართულ, ამერიკულ და გლობალურ კონტექსტში. 2. აღწერს იმ ძირითად ისტორიულ და თანამედროვე ტენდენციებს, ინსტიტუტებსა და მოვლენებს, რომლებიც განაზღვრავენ შიდა, რეგიონულ და საერთაშორისო პოლიტიკას. 3. განარჩევს სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების, მათ შორის სამთავრობო, საერთაშორისო და ტრანსნაციონალური ორგანიზაციების როლებს, დღის წესრიგსა და ურთიერთქმედებას. **უნარები** 4. აანალიზებს პოლიტიკურ და საერთაშორისო საკითხებს შესაბამისი კვლევითი მეთოდების, ეთიკური სტანდარტებისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული მსჯელობის გამოყენებით. 5. ამყარებს ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას აკადემიურ და პროფესიულ გარემოში, მათ შორის სულ მცირე ერთ უცხო ენაზე. 6. იყენებს კრიტიკულ აზროვნებას, მოლაპარაკების ტექნიკებსა და პრობლემის გადაჭრის გზებს მრავალფეროვან ინსტიტუციურ და კულტურათაშორის გარემოში. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** 7. გეგმავს და ახორციელებს ინდივიდუალურ და ჯგუფურ პროექტებს ეთიკური ნორმებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.
დასაქმების	**საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის ერთობლივი პროგრამის** კურსდამთავრებულები კარიერას აგრძელებენ დიპლომატიაში, საჯარო

სფეროები	მმართველობაში და საერთაშორისო ორგანიზაციებში, ასევე ანალიტიკის, კვლევისა და ადვოკატირების სფეროში — მთავრობაში, „თინქ-ტანკებში“, არასამთავრობო ორგანიზაციებში და სამოქალაქო საზოგადოებაში. მათ ასევე შეუძლიათ იმუშაონ მრავალეროვნულ კორპორაციებში, კონსალტინგსა და მედიაში, სადაც მოთხოვნადია გლობალური ხედვა და კულტურათაშორისი უნარები. საფუძვლიანი შედარებითი ცოდნით, ანალიტიკური უნარებითა და დემოკრატიული ღირებულებების ერთგულებით, კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანები იქნებიან ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე.
სწავლის გაგრძელების საშუალება	პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია მაგისტრატურაში.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლება-სწავლის პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს და უზრუნველყოფენ შედეგის მიღწევას, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით გამოიყენება შემდეგი სახის მეთოდები:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.
- წიგნზე მუშაობის მეთოდი.
- ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი
- პრაქტიკული მეთოდები
- დისკუსია/დებატები
- ჯგუფური (collaborative) მუშაობა
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)
- ახსნა–განმარტებითი მეთოდი
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
- ელექტრონული სწავლება (E-learning)
- შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი,
- სწავლების დედუქციური მეთოდი,
- ანალიზის მეთოდი,
- სინთეზის მეთოდი და სხვა.

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ანაცვლებენ. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

№	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	სწავლების წელი						ECTS
				I		II		III		
				ECTS კრედიტი						
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები										
სავალდებულო სასწავლო კურსები - 140 ECTS										
1.	JPHIL 1150		თანამედროვე აზროვნების საფუძვლები	5						
2.	JCIVI 1150		კულტურა და ცივილიზაცია	5						
3.	JPOLS 1250		შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში		5					
4.	JIR 2150		შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში		5					
5.	JCOMP 2250		შესავალი შედარებით პოლიტიკაში		5					
6.	JDIP 1250		დიპლომატიის ისტორია XVII-XIX საუკუნეებში		5					
7.	JSTAT 1250		სტატისტიკური ანალიზის მეთოდები		5					
8.	JSOCP 1150		სოციალური ფსიქოლოგია		5					
9.	JPA 2150		შესავალი სახელმწიფო მართვაში			5				
10.	JCFP 0050		შედარებითი საგარეო პოლიტიკა			5				
11.	JQQDA 2151		კვლევის მეთოდები			5				
12.	JECON 2150		შესავალი ეკონომიკაში			5				
13.	JLAW 2251		შესავალი საერთაშორისო სამართალში			5				
14.	JIRT 3250	JIR 2150	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია				5			
15.	JIE 2250	JECON 2150	შესავალი საერთაშორისო ეკონომიკაში				5			
16.	JDIP 2250		დიპლომატიის ისტორია XX-XXI სს.				5			

№	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	სწავლების წელი						ECTS
				I		II		III		
				ECTS კრედიტი						
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
17.	JINTS 3150	JIR 2150	საერთაშორისო უსაფრთხოების საფუძვლები				5			
18.	JEUIP 3250		ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა				5			
19.	POLI 102		შეერთებული შტატების პოლიტიკა					5		
20.	POLI 116		მთავრობა და ბიზნესი შეერთებულ შტატებში					5		
21.	POLI 202		სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობა					5		
22.	POLI 250		საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა					5		
23.	POLI 327	JIR 2150 JCFP 0050	გაერო და გლობალური პოლიტიკა					5		
24.	POLI 120		გლობალური გამოწვევები						5	
25.	POLI 310		გადაუდებელი გლობალური საკითხები						5	
26.	POLI 313		სამოქალაქო თავისუფლებები აშშ-ში						5	
27.	POLI 334		ომისა და მშვიდობის საკითხები						5	
28.	POLI 440	POLI 327	გაეროს სემინარი						5	
არჩევითი სასწავლო კურსები - 15 ECTS										
29.	JHRD 2250		ადამიანის უფლებები და დემოკრატია			5				
30.	JDD 3150		ციფრული დიპლომატია			5				
31.	JGPSD 3150		,,მწვანე პოლიტიკა“ და მდგრადი განვითარება			5				
32.	JGFDP 3250		საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა				5			
33.	JLAPS 0050		ლათინური ამერიკის პოლიტიკური სისტემები				5			

№	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	სწავლების წელი						ECTS
				I		II		III		
				ECTS კრედიტი						
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
34.	JMEAS 0050		ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა				5			
35.	JIT 0050		საერთაშორისო ტერორიზმი				5			
36.	JWET 0050		ომის ეთიკა-მისი უპირატესობები და შეზღუდვები				5			
37.	JEVI 3250		ევროპული ღირებულებები და იდეოლოგიები				5			
თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები										
საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 45 ECTS										
38.	JCIS 1151		საინფორმაციო ტექნოლოგიები	5						
39.	JHIST 0003		საქართველოს ისტორია	5						
40.	JACWR 0007		აკადემიური წერა	5						
41.	JENGL 0009		C1.0 ზოგადი ინგლისური	5						
42.	JESP 0001 JGERM 0001 JFREN 0001		უცხო ენა, I ნაწ. (A1.0)	5						
43.	JENGL 0010	JENGL 0009	C1 ზოგადი ინგლისური		5					
44.	JESP 0002 JGERM 0002 JFREN 0002	უცხო ენა, I ნაწ A1.0	უცხო ენა, II ნაწ. (A1)		5					
45.	JESP 0003 JGERM 0003	უცხო ენა, II ნაწ A1	უცხო ენა, III ნაწ. (A2.0)			5				

№	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\მოდული	სწავლების წელი						ECTS
				I		II		III		
				ECTS კრედიტი						
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
	JFREN 0003									
46.	JESP 0004 JGERM 0004 JFREN 0004	უცხო ენა, III ნაწ A2.0	უცხო ენა, IV ნაწ. (A2)				5			
ECTS კრედიტები			სემესტრში	35	40	35	40	25	25	
			წელიწადში	75		75		50		200

შენიშვნა: